წერილის ნომერი: **27-982614874**
თარიღი: **28/05/2026**

ადრესატი: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის მინისტრს ედნარ ნატარიძეს

ბატონო ედნარ,

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2026 წლის 19 მაისის № N 01-01-10/2305 წერილის პასუხად, რომლითაც მოითხოვთ გაცნობოთ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრება/პოზიცია ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე 23.14.36.392, 23.14.36.1107 და 23.14.36.1108 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე და მოგაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულ ქონებაზე არსებული ან/და დაგეგმილი კომუნიკაციების (მიწის ზედა - მიწის ქვეშა და ა.შ), ინფრასტრუქტურული სამუშაოების (გზები, საპროექტო გზა, ტროტუარები, წყალანირება, სანიაღვრე სისტემა და ა.შ.) შესახებ და ვრცელდება თუ არა რაიმე შეზღუდვა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე (თვითნებურად დაკავება ან/და სხვა) გაცნობებთ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე უახლოეს მომავალში არავითარი ინფრასტრუქტურული სამუშაოები არაა დაგეგმილი და არც შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი შეადგენს 12.44 ლარს.

პატივისცემით,

გოჩა შანთაძე

რიყეთის ადმინისტრაციული ერთეული-მერის
წარმომადგენელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი